სსიპ ქალაქ თბილისის N 172 სკოლის

IVბ კლასის

ქართული ენისა და ლიტერატურის

მასწავლებელი

ნათია ლილუაშვილი

სასვენი ნიშნების გამოყენების პრობლემა IVბ კლასში

2018-2019

სარჩევი

თავი I

საკვლევი საკითხის მიმოხილვა_____გვ. 4

1.1 მოკლე ინფორმაცია სასვენი ნიშნების გამოყენების შესახებ. _____გვ. 4

1.2 სასვენი ნიშნების გამოყენების პრობლემა IV კლასში._____გვ. 4

1.3 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები_____გვ. 5

1.4 კვლევის მიზანი_____გვ. 5

1.5 კვლევის ამოცანა_____გვ. 6

თავი II

პრაქტიკული კვლევის არსი_____გვ. 6

თავიIII

ლიტერატურის მიმოხილვა_____გვ. 7

3.1 ქართული ენის გაკვეთილები: პუნქტუაცია_____გვ.7

3.2. ციცინო გობაძის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა_____გვ. 10

3.3 როგორ შევაყვარე მოსწავლეებს სასვენი ნიშნები_____გვ.12

3.4. სასვენი ნიშნების დღე_____გვ.12

3.5 ეროვნული სასწავლო გეგმა _____ გვ. 14

თავი IV

მეთოდოლოგია_____გვ. 16

4.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი_____გვ. 17

4.2 კვლევაში გამოყენებული შერჩევის ორი ტიპი_____გვ. 17

4.3 მონაცემების შეგროვება_____გვ. 18

4.4 კვლევის მონაწილე მხარეები და მათი პასუხისმგებლობები_____გვ. 19

4.5 კვლევის ვადები_____გვ. 20

თავი V
კვლევის შედეგები_____გვ. 21
5.1 ტესტირების შედეგების ანალიზი(მოსწავლეები)_____გვ. 21
5.2 გამოკითხვის შედეგების ანალიზი(მშობელი)_____გვ.25
5.3. კითხვის შედეგების ანალიზი (მასწავლებელი)_____გვ.27

თავი VI
ინტერვენციის შეფასება_____გვ. 28
6.1.შესაძლო ინტერვენციები_____გვ. 28
6.2. განსახორციელებელი ცვლილებები_____გვ.29
6.3. განსახორციელებელი შედეგები_____გვ. 32

თავი VII
მიგნებები, ინტერვენციები, განხორციელებული ცვლილებები, რეკომენდაციები, თვითკრიტიკა და რისკფაქტორები_____გვ. 34
7.1. თვითკრიტიკა და რისკფაქტორები_____გვ. 34
7.2. რეკომენდაციები_____გვ. 35

დასკვნა_____გვ. 36

ბიბლიოგრაფია_____გვ. 36

დანართი_____გვ. 37

თავი I

საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.1 მოკლე ინფორმაცია სასვენი ნიშნების გამოყენების შესახებ.

სსიპ ქალაქ თბილისის N172 საჯარო სკოლის IV^ბ კლასში სწავლობს 26 მოსწავლე. პუნქტუაციის სწორად გამოყენება მნიშვნელოვანია როგორც წერის, ასევე ზეპირი მეტყველების დროს. თუ არ დავიცავთ პუნქტუაციის წესებს, აზრის გამოტანა შეუძლებელი იქნება, ამიტომ მოსწავლეებს კარგად უნდა ესმოდეთ სასვენი ნიშნების გამოყენების აუცილებლობა და შეძლონ აღნიშნული ცოდნის პრაქიკაში გამოყენების უნარ-ჩვევა, რაც ხშირად პრობლემად რჩება.

1.2 სასვენი ნიშნების გამოყენების პრობლემა IV კლასში.

სწავლა-სწავლების პროცესში ტექსტის წაკითხვისა თუ წერითი აქტივობების შესრულების დროს მნიშვნელოვანია სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენება, რათა აზრი ნათლად იქნეს ჩამოყალიბებული, აღქმული, დაწერილი და გააზრებული. სამწუხაროდ, პუნქტუაციური წესების ადეკვატური გამოყენება, მიუხედავად მასწავლებლის დიდი მცდელობისა, მაინც პრობლემატურ საკითხად რჩება მოსწავლეებში. ხშირ შემთხვევაში მათ არ იციან სასვენი ნიშნების გამოყენების წესები და/ან იციან, მაგრამ არ შესწევთ უნარი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ადეკვატურად, სრულყოფილად გამოყენებისა. ვხვდებით პარადოქსებსაც, რომ ზოგჯერ მთელ აბზაცებს ისე დაწერენ, ერთ სასვენ ნიშანსაც არ გამოიყენებენ.

ამდენად, საჭიროა, განხორციელდეს კვლევა, რათა გამოვლინდეს სასვენი ნიშნების გამოყენების თეორიული ცოდნის ფლობისა და მისი პრაქტიკაში ადეკვატურად

გამოყენების პრობლემის არსი. ამ გზით შესაძლებელი გახდეს ზეპირ თუ წერით მეტყველებაში აზრის სწორი ფორმირება და გამოხატვა.

1.3 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები

ინტერვენციების დაგეგმამდე საჭირო იყო ჩამოგვეყალიბებინა პრობლემის სავარაუდო მიზეზები. მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვის საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი:

1. **მოსწავლეები სათანადოდ არ იცნობენ** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების წესებს.
2. **მოსწავლეების სათანადოდ ვერ ახერხებენ** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენებას წერით მეტყველებაში.
3. **ზოგ შემთხვევაში მასწავლებლის მხრიდან არ ხდება ყოველ ჯერზე** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების შესახებ სათანადო აქცენტების დასმა და მეთოდების შეთავაზება.
4. **ხშირია მოსწავლეებისა და მათი მშობლების არაეფექტური/არაკვალიფიციური თანამშრომლობა.**
5. **იშვიათია მასწავლებელთა შორის** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების შესახებ საკუთარი პრაქტიკისა და ამ პრობლემის დაძლევის გზის მიგნებების გაზიარება.

1.4. კვლევის მიზანი

სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების პრობლემის მიზეზების დადგენა, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და მიღებული შედეგების შეფასება.

1.5 კვლევის ამოცანა

კვლევის ამოცანაა პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- **რამდენად იცნობენ მოსწავლეები და მშობლები** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების წესებს.
- **რამდენად ახერხებენ** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენებას წერით მეტყველებაში.
- **რამდენად აცნობიერებენ მოსწავლეები** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების საჭიროებას წერით მეტყველებაში.
- **რამდენად ეფექტურადაა მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების წესები და მისი პრაქტიკაში დანერგვის მეთოდები და სტრატეგიები შეთავაზებული.
- **უზიარებენ თუ არა პედაგოგები ერთმანეთს საკუთარ პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ.**
- **რამდენად ხერხდება მოსწავლისა და მისი მშობლის ურთიერთთანამშრომლობისას** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების წესების მიწოდება წერით მეტყველებაში.
- **როგორ შეიძლება გადაიჭრას** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების პრობლემა წერით მეტყველებაში.

თავი II

პრაქტიკული კვლევის არსი

მოცემული კვლევის ძირითადი მიზანი გახლდათ გამომეკვეთა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ხელს უშლის მოსწავლეებში სასვენი ნიშნების გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას და განმეხილა ის ძირითადი საკითხები, რომელიც ხელს შეუწობს ამ პრობლემის მოგვარებას. განხორციელებულმა ინტერვენციებმა ცხადყო ის შემაფერხებელი ფაქტორები, რომელიც ხელს უშლიდა მიზნის მიღწევას. ასევე დამანახა პრობლემის მოგვარების გზები.

აღნიშნული პრაქტიკული კვლევა გულისხმობს მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ძალისხმევით პრობლემის მოსაგვარებლად დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას. კლასში შემსვლელი მასწავლებლები, მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები ერთვებიან პრაქტიკულ კვლევაში, პრობლემას თვალს უსწორებენ. ამდენად განისაზღვრა კვლევაში მონაწილე პირები:

- **მოსწავლეები**
- **კლასში შემსვლელი სხვადასხვა საგნის მასწავლებელი;**
- **მშობლები**

თავი III

ლიტერატურის მიმოხილვა

3.1. ქართული ენის გაკვეთილები: პუნქტუაცია

15 თებერვალი, 2018 თამთა დოლიძე

http://mastsavlebeli.ge/?p=16976

აღნიშნული ლიტერატურის გაცნობის საფუძველზე მკვლევარი მასწავლებლის მიერ კიდევ ერთხელ განხილვის საგანი გახდა მოსწავლეთა მიერ სასვენი ნიშნების ხმარებისას წარმოშობილი სირთულე და მისი გამომწვევი მიზეზები. ამავე დროს მნიშვნელოვნად დიფერენცირებულ იქნა ცალკეული სასვენი ნიშნის ე.წ. „სიტყვის მწყემსების“ დანიშნულება და გამოყენების საჭიროება თუ დატვირთვა. კვლევის ფარგლებში გამოიყო წერტილის, მძიმის, ორწერტილის, ბრჭყალების, ძახილისა და კითხვის ნიშანთა გამოყენების წესები. ლიტერატურის ავტორმა ბიძგი მოგვცა შექმნილიყო ინტერვენციები, რომლებიც გულისხმობდა სასვენ ნიშანთა გამოყენების წესების დასწავლას თუნდაც ლექსის საშუალებით. როგორიცაა მესამე კლასის ქართული ენის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში (ვ. როდონაია) მოცემული ლექსი „სასვენი ნიშნები“ (ავთანდილ არაბიძე), რომელიც დიალოგის ფორმატში საკმაოდ ლაკონურად და მარტივად აღწერს სასვენი ნიშნების დანიშნულებას. აღნიშნულმა აქტივობამ მნიშვნელოვნად გააადვილა მოსწავლეთა შორის პუნქტუაციის ნორმათა შეთვისება-გათავისება და შემდგომში მისი მართებულად პრაქტიკული გამოყენება.

თამთა დოლიძე:

„წერტილი (.) შეკრული წრეა. იგი წინადადების ბოლოს დაისმის და დასრულებულ აზრს გამოხატავს. წერტილს ასევე ვიყენებთ სიტყვის შემოკლების (ქ. ქალაქი; სოფ. სოფელი), ტექსტის დანაწევრებისა და მონაკვეთების დანომრვის დროს (1. ან ა.). რაც შეეხება გამონაკლისს, წერტილი არ იწერება მოთხრობის, ლექსის, წერილის, სამეცნიერო სტატიის, ნაშრომის თუ ზღაპრის სათაურების ბოლოს.

მძიმე (,) *გრძელ წინადადებებში მოქცეულ რამდენიმე ამბავს შორის პაუზას, შესვენებას უზრუნველყოფს. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ სასვენ ნიშანს იყენებენ ერთგვაროვანი წევრების, რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადებების, განკერძოებული სიტყვებისა და მიმართვების გამოსაყოფად. მძიმის გრაფიკული გამოსახულებაც (ნახევარწრე) მის შინაარსს მიესადაგება და ამბის ნაწილობრივ დასრულებას გამოსახავს.*

კითხვის ნიშნის (?) *ფუნქციას მის ვიზუალურ მხარეზე დაკვირვებითაც ამოვიცნობთ. მძიმის მსგავსად, აქაც შეუკრავი წრეა გამოსახული, რომლის ერთი ბოლო წერტილისკენ მიმართება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამბის დასასრულებლად თხრობითი წინადადების (პასუხის) დამატებაა საჭირო. ზოგჯერ წინადადებაში რამდენიმე შეკითხვა იყრის თავს. მსგავსი შემთხვევა, კითხვის ნიშნის გარდა, მძიმის გამოყენების ერთ-ერთ მაგალითადაც შეგვიძლია გამოვიყენოთ, რადგან კითხვები ერთმანეთისგან სწორედ მძიმეებით გამოიყოფა, კითხვის ნიშანი კი წინადადების ბოლოს დაისმის (სად ვიპოვო სამართალი, ვის მივმართო, რა მეშველება?).*

ძახილის ნიშანი (!) *მეჩვიდმეტე საუკუნემდე მხოლოდ გრძანებით წინადადებას დაერთვოდა. გადმოცემის თანახმად, სასვენი ნიშნის „ჯოხი“ მეფის კვერთხის ანალოგიას წარმოადგენდა, წერტილი კი, მისი შინაარსის თანახმად, აზრის/მოქმედების დასრულების აუცილებლობაზე მიანიშნებდა. დღეს ეს სასვენი ნიშანი მძაფრი ემოციის (თხოვნა, მოწოდება, დარიგება, მითითება, შეშფოთება, აღტაცება და სხვ.) გამომხატველ წინადადებებთან დაისმის. მას ასევე ვიყენებთ მიმართვასთან, შორისდებულთან და მიგებით ნაწილაკთანაც (როგორ არ გეცოდები, ჩემო ძამია!; ვაიმე!; დიახ! და სხვ.).*

კითხვა-ძახილის (?!) *ნიშანი, შეკითხვის დასმის გარდა, გაკვირვება-აღტაცებას და ვარაუდსაც გამოხატავს. იგი ასევე დაისმის არასრული წინადადებების ბოლოს (რაო?! მართლა?!). ამ სასვენი ნიშნის გამოყენებას მოსწავლეთა დიდი ნაწილი არიდებს თავს, რადგან უჭირთ მისი დანიშნულების სათანადოდ გააზრება. აქედან გამომდინარე, გირჩევთ მხატვრული ტექსტების საკვლევ მასალად გამოყენებას და აღმოჩენილ ნიმუშებზე ყურადღების გამახვილებას.*

რაც შეეხება ***წერტილ-მძიმეს (;)****, იგი ერთნაირი ენობრივი ელემენტების ერთმანეთისგან გამოსაყოფად გამოიგონეს. აღნიშნული სასვენი ნიშანი დაისმის რთულ ქვეწყობილ წინადადებაშიც, სადაც მთავარი წინადადების შემასმენელი მეორდება (გარდაუვალი იყო მოსალოდნელი განსაცდელის თავიდან აცილება; გარდაუვალი იყო თავისუფლების დაკარგვა). წერტილ-მძიმეს იყენებენ გეგმის ან მიზნების ჩამონათვალთანაც.*

მრავალწერტილი (…) *იწერება მიზანმიმართულად აზრობრივად დაუსრულებელი წინადადების ბოლოს. აღნიშნული სასვენი ნიშანი მწერლის ერთგვარი იარაღია, როცა მას რაიმეს ბოლომდე თქმა არ სურს და მინიშნებებს უტოვებს მკითხველს. იგი პერსონაჟის თავისებურებაზე ან სიტუაციის შესაბამის ქმედებაზეც მიანიშნებს (ენის მოკიდება, დაბნეულობა, შიში და სხვ.), აქედან გამომდინარე, მრავალწერტილი წინადადების ან სიტყვის შუაშიც შეიძლება შეგვხვდეს. ამას გარდა, მრავალწერტილი დაისმის ციტატის თავში ან ბოლოში, თუ ციტირებული მონაკვეთის დასაწყისი ან დასასრული არ ემთხვევა წინადადების თავს ან ბოლოს. მას ამოღებული მონაკვეთის აღსანიშნად, ციტირებული ტექსტის შუაშიც იყენებენ.*

ორწერტილი (:) *შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი წევრების წინ, ანუ ჩამონათვალთან დაისმის. მას ასევე იყენებენ იმ წინადადების დასასრულებლად, რომელსაც პირდაპირი ან ირიბი ნათქვამი მოსდევს (ასლუკუნებული ბიჭი დედობილს მიეკრა და ჩურჩულით ჰკითხა: – ხვალ მართლა წამიყვან სასახლეში, დედი?). ამას გარდა, ორწერტილი ციტატასაც უძღვის წინ (აკაკი წერეთელი იხსენებს: – ,,სანამდი სოფელში ვიზრდებოდი, სრულიად ბედნიერი ვიყავი''). ორწერტილს ვხვდებით უკავშირო რთული წინადადების ბოლოსაც, თუ მომდევნო ფრაზები მთავარი წინადადების დამაზუსტებელ ინფორმაციას შეიცავს. (,,ამქვეყანად ერთმანეთის საპირისპირო მრავალი ძალა არსებობს: სიმდიდრე და სიღარიბე, კეთილი და ბოროტი, ბნელი და ნათელი…'').*

დეფისი (-) *მოკლე ჰორიზონტალური ხაზია. იგი ნაირფუძიანი და გაორკეცებული რთული სიტყვების ჩაწერისას გამოიყენება (ქუჩა-ქუჩა; მინდორ-ველი და სხვ.). ამას გარდა, ეს სასვენი ნიშანი ერთმანეთთან აკავშირებს იმ უცხოენოვან გეოგრაფიული სახელებს, რომლებიც მშობლიური ენაზე ცალ-ცალკე იწერება (ნიუ-იორკი). დეფისს ასევე ვიყენებთ ზმნაზე სხვათა სიტყვების აღმნიშვნელი ,,-მეთქი'' და ,,-თქო'' ნაწილაკების და რიცხვებზე თავსართ-ბოლოსართების დართვის დროს (არ გაბედო-მეთქი!; მე-5 კლასი და სხვ.). დეფიზი გვჭირდება სიტყვის ერთი ხაზიდან მეორეზე გადატანის და დამარცვლის დროსაც.*

ტირე (—) *ვიზუალურად დეფისს ჰგავს (გრძელი, ჰორიზონტალური ხაზია), თუმცა სულ სხვა დანიშნულებით გამოიყენება. ტირეს დიალოგებში პერსონაჟთა მეტყველების გამოსაცალკევებლად ვიყენებთ. იგი წინადადების გამოტოვებულ წევრებს ენაცვლება (ილია ყვარელში დაიბადა, აკაკი კი – საჩხერეში) და წინ უძღვის განმაზოგადებელ სიტყვებს (,,კაცი, ქალი, დიდი, პატარა, ერი, მღვდელი — მისთვის სულ ყველა ერთი იყო''). აქვე დავურთავ მოკლე შენიშვნას: მოსწავლეებს, ზემოთ მოყვანილი ბოლო მაგალითის მსგავს შემთხვევებში, უჭირთ ორწერტილსა და ტირეს შორის არჩევნის გაკეთება. ეს თავსატეხი კი განმაზოგადებელი (გამაერთიანებელი) სიტყვის ადგილმდებარეობაზე დაკვირვებით შეიძლება ამოიხსნას. მაგალითად ზემოთ*

მოყვანილი ნიმუშის შებრუნებულ ვარიანტს შემოგთავაზებთ: „მისთვის სულ ყველა ერთი იყო: კაცი, ქალი, დიდი, პატარა, ერი, მღვდელი“. როგორც ვხედავთ, თუ ჩამონათვალს წინ უსწრებს განმაზოგადებელი სიტყვა, ტირის ნაცვლად ორწერტილს ვიყენებთ.

ფრჩხილებში *ჩაისმის ის სიტყვები/ფრაზები, რომლებიც განმარტავენ/აზუსტებენ წინადადებაში გადმოცემულ აზრს. ასევე ფრჩხილებში ვათავსებთ იმ ფრაზებს, რომლებიც დამატებით ინფორმაციას შეიცავს, მაგრამ მთავარ წინადადებას აზრობრივად არ უკავშირდება. შესაძლოა ფრჩხილებში მოქცეული წინადადება მთავარ ნაწილში გამოთქმული მოსაზრების გაგრძელებასაც წარმოადგენდეს, მაგრამ თუ მას დამატებითი შენიშვნის სახე აქვს, წინადადების სრულფასოვან წევრად ვერ ვაქცევთ. ფრჩხილებს აქტიურად იყენებენ სამეცნიერო ნაშრომის (აკადემიური სტილი) წერის დროს. იგი საჭიროა მოქმედების აღსაწერადაც (სტენოგრაფისტები, სცენარისტები).*

ბრჭყალებს *ყველაზე ხშირად ციტატის დამოწმების დროს ვიყენებთ. ასევე ბრჭყალებში ჩაისმის ჟურნალების, დაწესებულებების სახელები, სათაურები. ამავე სასვენ ნიშანს იყენებენ ირონიულად ან გადატანითი მნიშვნელობით ნათქვამთანაც. არ უნდა დაგვავიწყდეს ბარბარიზმებისა და არქაული გამონათქვამების ბრჭყალებში ჩასმაც.“*

1. **3.2.** **http://cicinogobadzisportpolio.blogspot.com/p/blog-page_22.html**

   ციცინო გობაძის მიერ ჩატარებული კვლევა.

   2017 წლის მაისი–ივნისი

   აღნიშნული ლიტერატურის გაცნობა საინტერესო იყო იმდენად, რამდენადაც გაზიარებულ იქნა სხვა მკვლევარ-მასწავლებლის პრაქტიკული გამოცდილება კვლევის პროცესში. ამან კი საშუალება მოგვცა გარკვეულწილად შედარებითი ანალიზი გაკეთებულიყო საკუთარ პრაქტიკასთან და საინტერესო, ჩვენს პრაქტიკაზე მორგებული ინტერვენციები დანერგილიყო კვლევის პროცესში მკვლევარ მასწავლებლის მიერ შერჩეულ სამიზნე ჯგუფთან.

   ყურადსაღები აღმოჩნდა კოლეგის პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც ჩვენი კვლევის ფარგლებში კარგი ინტერვენციის გზა გახდა. ამ ხერხის ინტენსიური გამოყენება სხვადასხვა დროსა და გაკვეთილზე დადებითი შედეგის მომტანი აღმოჩნდა, კერძოდ, თუ მასწავლებელი მოსწავლეებს მისცემდა მხატვრულ ტექსტს სასვენი ნიშნების გარეშე და მოსთხოვდა მათ გაეგოთ ტექსტის შინაარსი, ხოლო

შემდეგ თავად დაესვათ საჭირო სასვენი ნიშნები, რიტაც აღმოჩნდებოდა, რომ ტექსტის შინაარსის გაგება მარტივად მიიღწევა.
ასევე კოლეგისაგან ერთგვარ გზამკვლევად იქნა გამოყენებული კვლევის მეთოდი:
ა) კონკურსი კითხვაში,
ბ) ტექსტის რედაქტირება.
გ) ჩავატარე ანკეტირება.
  შემოთავაზებულმა მეთოდებმა განაპირობა ჩვენი კვლევის ფარგლებში ამ და სხვა გზების გამოყენების ეფექტურობა.

  კოლეგის კვლევის საინტერესო მიგნება იყო შემდეგი: რომ „დაწყებითი კლასის მასწავლებლების 25% მუშაობს სასვენი ნიშნების გამოყენებაზე, 50%-ს მიაჩნია, რომ ეს მაღალ კლასებში უნდა ისწავლონ, ხოლო 25% თვლის, რომ ამისათვის დრო არ რჩება.“ ეს მაჩვენებელი საგანგაშო აღმოჩნდა ჩემთვის, რამაც უფრო მიბიძგა დაწყებით საფეხურზე სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების სწავლების მნიშვნელობაზე გაგვემახვილებინა ყურადღება, საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესებაზე მეზრუნა და შემდგომში ჩემი გამოცდილება თუ ხედვა გამეზიარებინა ჩვენი სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის. ამით მიმეღწია იმისთვის, რომ ყოველ მასწავლებელს გაეთავისებინა დაწყებით საფეხურზევე სწავლა-სწავლების პროცესში სასვენი ნიშნების სწავლების აუცილებლობა.

ციცინო გობაძე:
”ჩემი აზრით, პუნქტუაციის სწავლება პირველივე კლასიდან უნდა დაიწყოს დაგაგრძელდეს მეთორმეტე კლასის ჩათვლით,რადგან პრაქტიკაში მეორეკლასელიც შემხვედრია, წინადადებებს კი არა, სიტყვებს რომ არგამოყოფდა ერთმანეთისგან და -მეთორმეტეკლასელიც, რომელიც სიტყვებს კიგამოყოფდა ინტერვალით, მაგრამ წერტილის დასასმელადაც კი შეხსენება სჭირდებოდა.

  პრობლემიდან გამომდინარე დავინტერესდი, თუ რამდენად იყენებენ დაწყებითი კლასის მოსავლეები სასვენ ნიშნებს და რამდენად აქცევენ მათ მასწავლებლები ყურადღებას, რადგან ვთვლიდი, რომ მათ დაბალი კლასებიდან არ ჰქონდათ ჩვევა ჩამოყალიბებული, მასწავლებლების თანხმობით გადავხედე

მათ ნამუშევრებს და ჩემი ვარაუდი გამართლდა, ბავშვები ან არ იყენებენ, არ არასწორად იყენებენ რაზედაც სათანადო რეაგირება ვერ დავინახე.“

3.3. როგორ შევაყვარე მოსწავლეებს სასვენი ნიშნები http://mastsavlebeli.ge/?p=19813

როგორ შევაყვარე მოსწავლეებს სასვენი ნიშნები
26 ნოემბერი, 2018 რუსუდან ნადარეიშვილი.

აღნიშნული ლიტარატურა ერთგვარად ბიძგის მომცემი აღმოჩნდა, რომ სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების წესების დასწავლის პროცესი მოსწავლეთათვის გამეხადა შემოქმედებითი. ამ გზით იგი იქნებოდა საინტერესო და შედეგზე ორიენტირებული. ამდენად, ჩვენ მიერ შემუშავებულ ინტერვენციათა შორის დაიგეგმა და განხორციელდა როლური თამაშები. მოსწავლეების მიერ სასვენ ნიშნებად გათამაშებით სწავლობდნენ და სხვებსაც აცნობდნენ „საკუთარ წესებს“. აღნიშნული ინტერვენცია პრობლემის დაძლევის საუკეთესო გზა აღმოჩნდა.

აღნიშნული ლიტარატურა ერთგვარად ბიძგის მომცემი აღმოჩნდა, რომ სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების წესების დასწავლის პროცესი მოსწავლეთათვის გამეხადა შემოქმედენითი. ამ გზით იგი იქნებოდა საინტერესო და შედეგზე ორიენტირებული. ამდენად, ჩვენ მიერ შემუშავებულ ინტერვენციათა შორის დაიგეგმა და განხორციელდა როლური თამაშები. მოსწავლეების მიერ სასვენ ნიშნებად გათამაშებით სწავლობდნენ და სხვებსაც აცნობდნენ „საკუთარ წესებს“. აღნიშნული ინტერვენცია პრობლემის დაძლევის საუკეთესო გზა აღმოჩნდა.

რუსუდან ნადარეიშვილი:

„ვფიქრობ, ეფექტურ სასწავლო საშუალებათა გამოყენებამ, მოსწავლე-მასწავლებელს შორის კონსტრუქციული ურთიერთობის ჩამოყალიბებამ, უკუკავშირის ხარისხის ამაღლებამ, გართობით სწავლებამ შედეგი გამოიღო:

მოსწავლეებს გაუღვივდათ შემეცნებითი ინტერესი, აუმაღლდათ მოტივაცია, შეძლეს გრამატიკული მოვლენების ახსნა, გრამატიკული ცნებების გააზრება, რამაც ხელი შეუწყო და დააჩქარა მართლწერის უნარების შეძენა-განვითარება; განუვითარდათ ინდივიდუალური შემოქმედებითი უნარები, დაეუფლნენ აზრებისა და დამოკიდებულებების გამოხატვის ენობრივ-სტილისტურ საშუალებებს, ‘‘შავი’’ ხელნაწერის გასწორება-რედაქტირების, აზრის წერილობით ჩამოყალიბების უნარ-ჩვევებს, მართლწერისა და პუნქტუაციის სავალდებულო ნორმებს.“

3.4. სასვენი ნიშნების დღე

http://mastsavlebeli.ge/?p=19521

სასვენი ნიშნების დღე

23 ოქტომბერი, 2018 მაია მენაბდე

გაცნობილი ლიტარატურის საშუალებით ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ის, რომ გამეზიარებინა კოლეგის მიგნება სასვენი ნიშნების გამოყენების თვალსაზრისით და ამ ნორმათა კომპლექსურად გამოყენებისათვის ერთ-ერთ შემაჯამებელ, ინტერვენციის შემდგომ ინდიკატორად ჩემს საკვლევ ფოკუს ჯგუფთან განმეხორციელებინა ე.წ. „სასვენი ნიშნების დღე“. ამით ნათელი გახდა, რომ კოლეგის პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება საინტერესო, სახალისო და რეალური სურათის მომცემი აღმოჩნდა.

მაია მენაბდე:

„სასვენი ნიშნების მნიშვნელობაზე რომ ვესაუბრები ბავშვებს, ფილოლოგებში გავრცელებული ლეგენდით ვიწყებ ხოლმე, თუ როგორ გადაარჩინა ერთმა მძიმემ ადამიანის სიცოცხლე. ერთ ჩინოვნიკს ბრძანების დაწერისას მძიმის ადგილი შეშლია და დასახვრეტად გამზადებული ადამიანი გაუთავისუფლებიათ. ფრაზის ,, დაიხვრიტოს, დაუშვებელია ეპატიოს!“ მაგიერ დაუწერია: ,, დაიხვრიტოს დაუშვებელია, ეპატიოს!“

ეს ლეგენდაც ძალიან მოსწონთ და სხვა პატარ- პატარა სასვენ ნიშნებთან დაკავშირებული სახალისო ხრიკებიც, მაგრამ სასვენი ნიშნების დასმისა რა მოგახსენოთ. იმასაც დავაკვირდი, მხოლოდ არცოდნის ბრალი არაა, ვინც იცის, იმასაც ეზარება ხოლმე სასვენი ნიშნების დასმა.

ერთხელაც გადავწყვიტე, ჩემი მოსწავლეებისთვის დამეწესებინა სასვენი ნიშნების დღე. მე თვითონ ისე აღვფრთოვანდი ამ იდეით და ისეთი რიხითა და ზარზეიმით გამოვუცხადე კლასში შესულმა, რომ ისღა დარჩენოდათ, ტაშის კვრით მიეღოთ ეს ახალი წინადადება და საკუთარი დაბადების დღეების აღნიშვნაზე ნაკლებად არ გახარებოდათ. მით უმეტეს, რომ ეს დღე სხვა მნიშვნელოვანი თარიღებივით წელიწადში ერთხელ კი არ იქნებოდა, არამედ თვეში ერთხელ!

პირველი დღე ვახტანგ ჯავახაძეზე საუბრით და მისი საოცარი ლექსით დავიწყე:

შემდეგი დღეები უფრო თამაშებსა და ხატვას დავუთმეთ.

თამაში N1 – ჯგუფებში ვანაწილებ სასვენ ნიშნებს და მათი გამოყენების წესებს. კითხულობენ, განიხილავენ და უნდა ეცადონ, ყველა წესი გამოხატონ გრაფიკულად,

ნახატით. სხვა ჯგუფის წევრებმა უნდა გამოიცნონ, რომელი წესია გადმოცემული ნახატით.

თამაში N2 – იყოფიან ჯგუფებად, ჯგუფიდან გამოდის ერთი, იღებს რომელიმე სასვენი ნიშნის წესს და ცდილობს, მუნჯურად აუხსნას თავისი გუნდის წევრებს, თუ მუნჯურად ვერ გამოიცნობენ, მერე დახატოს რაიმე მიმანიშნებელი, ხოლო თუ ასეც ვერ გამოიცნეს, ეძლევა 2 სიტყვის თქმის უფლება. თითოეულ გუნდს ქულა ეწერება.

ორივე შემთხვევაში, შემაჯამებლად წერენ წინადადებებს, რომლებშიც მათ მიერ შერჩეულ რამდენიმე წესს გამოიყენებენ.

შემდეგი აქტივობა ტიპური „წრეზე წერა“ იყო. ბავშვები ჯგუფში სხდებიან წრეზე, წერენ ერთ თხზულებას მასწავლებლის შერჩეულ თემაზე, 2-2 წუთიანი შუალედებით. იწყებს ჯერ ერთი, 2 წუთის მერე განაგრძობს მეორე, ჯერ სხვის ნაწერს გადაიკითხავს და მერე ლოგიკურად განაგრძობს დაწყებული თხზულების წერას. ასე იქცევა წრის თითოეული წევრი, სანამ ნაწერი დამწყებ მოთამაშეს არ დაუბრუნდება. აქ განსხვავებული მხოლოდ ის იყო, რომ შეფასების კრიტერიუმებში ყველაზე დიდი ქულა პუნქტუაციას მივანიჭეთ (განსაკუთრებული ყურადღება სასვენი ნიშნებისთვის უნდა მიექციათ), თუმცა ქულა ეწერებოდათ იმაშიც, თუ რამდენად გამართული და საინტერესო იყო თხზულება.

სანამ წერას დავიწყებდით, განწყობის შესაქმნელად გოდერძი ჩოხელის პატარა, მაგრამ ძალიან საყვარელი მოთხრობა „წერტილი და მძიმე“ წავიკითხეთ.
ერთ დღეს პატარებმა ნახატებით იქვე, ექსპრომტად, სასვენი ნიშნების გაცოცხლებაც გადაწყვიტეს, ეს აქტივობა სასვენი ნიშნების უფრო ემოციურ გააზრებას და ბავშვების გახალისებას ემსახურებოდა და არა წესების დამახსოვრებას.

ასეთი პატარ-პატარა გახალისებები ძალიან უხდება ხოლმე ჩვენი სასვენი ნიშნების დღეებს.

კიდევ ბევრი დღე გვაქვს დასაგეგმ- მოსაფიქრებელი.

აი, სკოლაში რომ დავბრუნდებით და სექტემბრის მიწურულს სასვენი ნიშნების დღეს აღვნიშნავთ, პოლ ელუარზე საუბრით დავიწყებ და მის „თავისუფლებას“ დავუდებ წინ. ჯერ ლექსზე იფიქრონ და იმაზე იმტვრიონ თავი, რატომ არ დასვა პოეტმა არც ერთი სასვენი ნიშანი და მერე საუკუნის
დანაშაული ჩაიდინონ: თვითონ დასვან!

3.5 ეროვნული სასწავლო გეგმა

I-IV კლასებში საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც კითხვისა და მართლმეტყველების საფუძველს წარმოადგენს. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მართლწერისა და, ზოგადად, წერითი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებას. მუშაობა უნდა წარიმართოს ასევე მოსწავლეთა ორთოეპიული (მართლწარმოთქმის) უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და განვითარების მიმართულებით.

I-IV კლასების სტანდარტი

ა) IV კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

დაწყებითი საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ქართ.დაწყ.(I).1**

„ქართ.“ - მიუთითებს საგანს „ქართული ენა და ლიტერატურა“;
„დაწყ.(I).” - მიუთითებს I-IV კლასების სტანდარტს;
„1“- მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი (I-IV კლასები)	
	მიმართულება: ზეპირმეტყველება
შედეგების ინდექსი	**სტანდარტის შედეგები** მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ქართ.დაწყ.(I).1	სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.
ქართ.დაწყ.(I).2	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.
ქართ.დაწყ.(I).3	პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.
ქართ.დაწყ.(I).4	ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.
ქართ.დაწყ.(I).5	ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.
	მიმართულება: კითხვა

შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ქართ.დაწყ.(I).6	გაწაფულად კითხვა.
ქართ.დაწყ.(I).7	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთადაკავშირება.
ქართ.დაწყ.(I).8	მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.
ქართ.დაწყ.(I).9.	წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.
ქართ.დაწყ.(I).10	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.
ქართ.დაწყ.(I).11	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.
ქართ.დაწყ.(I).12	კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.
	მიმართულება: წერა
შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ქართ.დაწყ.(I).13	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.
ქართ.დაწყ.(I).14	ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.
ქართ.დაწყ.(I).15	წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

ეროვნული სასწავლო გეგმის მოხმობილი ამონარიდის კიდევ ერთხელ ღრმად გაანალიზებით ხაზი გაესვა ზეპირმეტყველებაში გაგება-გააზრებისათვის სასვენი ნიშნების გამოყენების მნიშვნელობას. ასევე წერით მეტყველებაში შესაბამისი სტანდარტის - ქართ.დაწყ. (I).1 „ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა. - დაძლევის აუცილებლობას დაწყებით საფეხურზე. აღნიშნულით კი კიდევ ერთხელ დადასტურდა ჩვენ მიერ წარმოებული კვლევის მნიშვნელობა და საჭიროება.

თავი IV

მეთოდოლოგია

4.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი

1. მე- 4 კლასის მოსწავლეები

2. კლასში შემსვლელი მასწავლებლები

3. მოსწავლეების მშობლები

4.2 შერჩევა

კვლევაში გამოყენებული იქნება შერჩევის ტიპები:

უბრალო ტიპის სრული შერჩევა-საკვლევი პრობლემის შესასწავლად დაიგეგმა ტესტირება მე-4 კლასის მოსწავლეებისათვის.

ჩართული ტიპის მიზნობრივი შერჩევა-კვლევის ფარგლებში ეს შერჩევა გამოიყენება ინტერვიუს დროს, რომელიც განხორციელდა მოსწავლეების მშობლებთან. ვინაიდან მოსწავლეთა ყოველდღიური სწავლა-სწავლების პროცესი წერით მეტყველებისას გარკვეულწილად დამოკიდებულია მშობელთა მიერ საკუთარ შვილებთან თანამშრომლობაზე. ასევე მიზნობრივად იქნა შერჩეული კლასში შემსვლელი მასწავლებლები.

უბრალო და ჩართული ტიპის მიზნობრივი შერჩევა_ინტერვენციების შემდგომ მიღწეული შედეგის განსაზღვრის მიზნით განხორციელდა მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილებზე დასწრება.

ჩართული ტიპის მიზნობრივი შერჩევა_ინტერვენციების შემდგომ მიღწეული შედეგის განსაზღვრის მიზნით განხორციელდა კვლევის ავტორის მიერ გაკვეთილზე ჩართული დაკვირვება.

4.3 მონაცემების შეგროვება:

მონაცემთა შეგროვება განხორციელდა შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

ჩაღრმავებული ინტერვიუ (დანართი # 2) – ჩაღმავებული ინეტრვიუ განხორციელდა მოსწავლეთა მშობლებთან, რამაც საშუალება მოგვცა დეტალური ინფორმაცია აგვეღო და გაგვეცა პასუხი შემდეგ კითხვებზე:

1. *როგორია მათი შვილების მზაობა წერით მეტყველებისას სასვენი ნიშნების სწორად გამოყენების თვალსაზრისით?*
2. *როგორია მათი შვილების ცოდნის დონე წერით მეტყველებისას სასვენი ნიშნების სწორად გამოყენების თვალსაზრისით?*
3. *როგორ ფიქრობთ, რამდენად ახერხებენ მათი შვილები წერით მეტყველებისას სასვენი ნიშნების სწორად გამოყენებას?*
4. *რამდენად ხშირად და მიზანმიმართულად ახერხებენ შვილთან თანამშრომლობისას წერით მეტყველებაში სასვენი ნიშნების სწორად გამოყენებას?*
5. *რამდენად ხშირად ახერხებენ პედაგოგებთან კომუნიკაციას და ხედვათა ურთიერთგაზიარებას, რათა თავადაც დაეუფლონ სასვენი ნიშნების სწორად გამოყენების პრაქტიკას საკუთარი შვილებისათვის კომპეტენტური დახმარების გაწევის მიზნით?*

ფოკუსჯგუფი(დანართი #1) – ფოკუსჯგუფის საშუალებით ჩამოვაყალიბეთ კითხვარი, რომელიც განკუთვნილი იყო კლასში შემსვლელი პედაგოგების გამოკითხვისათვის. ამ მეთოდის გამოყენების მიზანი იყო, დაგვედგინა პედაგოგების შეხედულებები და დასკვნები მოსწავლეებში მაღალი შედეგების მისაღწევად სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენებისათვის წერით მეტყველებაში. ასევე გაგვეგო, როგორი იყო მასწავლებელთა მოლოდინები ამ პრობლემის დაძლევის გზაზე.

კითხვები მასწავლებლებს:

1. **როგორ იცნობენ მოსწავლეები და მშობლები** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების წესებს?
2. **როგორ ახერხებენ** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენებას წერით მეტყველებაში?
3. **რამდენად აცნობიერებენ მოსწავლეები** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების საჭიროებას წერით მეტყველებაში?
4. **ხერხდება თუ არა ეფექტურად მათ მიერ მოსწავლეთათვის** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების წესებისა და მისი პრაქტიკაში დანერგვის მეთოდებისა თუ სტრატეგიების შეთავაზება?
5. **უზიარებენ თუ არა პედაგოგები ერთმანეთს საკუთარ პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზებს?**
6. **ხერხდება თუ არა მოსწავლისა და მათი მშობლების ურთიერთთანამშრომლობისას** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების წესების მიწოდება წერით მეტყველებაში და ამ პროცესების კონტროლი?
7. **როგორ შეიძლება გადაიჭრას** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების პრობლემა წერით მეტყველებაში?

უბრალო და ჩართული დაკვირვება-ამ მეთოდების დროს განხორციელდა გაკვეთილზე დაკვირვებები ჩემ (კვლევის ავტორის) მიერ საკუთარ გაკვეთილზე **ჩართული** დაკვირვებითა და სხვა მასწავლებელთა გაკვეთილებზე **უბრალო** დაკვირვების გზით, რათა მოგვეხდინა პრობლემისა და ინტერვენციების განხორციელების შემდეგ შესაძლო ცვლილებების იდენტიფიცირება.

ტექსტზე მუშაობა დახურული და ღია კითხვების საშუალებით (დანართი #3) – აღნიშნულ მეთოდს მივმართეთ, რათა მოსწავლეებისაგან დაგვედგინა, რამდენად ახერხებენ პრაქტიკაში სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენებას ტექსტის სწორად გააზრებისათვის?

4.4 კვლევის მონაწილე მხარეები და მათი პასუხისმგებლობები

კლასში შემსვლელი პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები, მეოთხეკლასელი მოსწავლეები.

- კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება;
- გამოკითხვა/ტესტირება;
- გამოკითხვა/ტესტირების შედეგების ანალიზი;
- ინტერვეციების დაგეგმვა;
- ინტერვენციის შედეგების ანალიზი;
- ინტერვენციათა ვადების დაცვა;
- შედეგების გაცნობა პედაგოგთათვის.

4.5 კვლევის ვადები

აქტივობა	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
საკვლევი პრობლემის შერჩევა	x					
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება		x				
კითხვარის შედგენა, დამუშავება			x			
მოსწავლეთა ტესტირება			x			
შეხვედრა ფოკუსჯგუფთან				x	x	
შეხვედრა მოსწავლეთა მშობლებთან,				x	x	
მიღებული შედეგების ანალიზი				x		
პრობლემის იდენტიფიცირება				x		

სავარაულო ინტერვენციების განხილვა				x		
ინტერვენციის განხორციელება				x		
მეორადი მონაცემების შეგროვება				x	x	
ინტერვენციის შედეგების ანალიზი					x	
პრეზენტაცია						x

V თავი

კვლევის შედეგები

5.1 ტექსტირების შედეგების ანალიზი (მოსწავლე)

მოსწავლეთა რაოდენობრივი კვლევის, ტესტირების მიზანი იყო დაგვედგინა, რამდენად ახერხებდნენ სასვენი ნიშნების სწორად გამოყენებას წერითი მეტყველების დროს; მათ შორის, რამდენად ითვალისწინებენ ამ ნორმებს დავალებების დამოუკიდებლად შესრულებისას.

(დანართი #3).

ანალიზი I

კლასში ჩატარებულ ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო 21 მოსწავლემ. ტესტირებისას გამოავლინდა საყურადღებო მოცემულობა. ტესტირებისათვის მიცემულ წინადადებებში მოსწავლეთა მიერ უნდა დასმულიყო შემდეგი რაოდენობის სასვენი ნიშნები:

6 - წერტილი;
7 2-ორწერტილი;
8 1-ბრჭყალები;
9 2-ძახილის ნიშანი;
10 2-კითხვის ნიშანი;
11 6-მძიმე.

N	სასვენ ნიშანთა ჩამონათვალი	სწორად დასმული სასვენი ნიშნების რაოდენობა.	არასწორად დასმული და/ან არდასმული სასვენი ნიშნების რაოდენობა.	შესაბამის სასვ. ნიშანთა საერთო რაოდენობა ტექსტში.	21 მოსწავლის მიერ ამოსაცნობი შესაბამისი სასვ. ნიშნების საერთო რაოდენობა.
1.	*წერტილი*	120	6	6	126
2.	*ორწერტილი*	28	14	2	42
3.	*ბრჭყალები*	16	5	1	21
4.	*ძახილის ნიშანი*	24	18	2	42
5.	*კითხვის ნიშანი*	35	7	2	42
6.	*მძიმე*	69	57	6	126
სულ		292	107	19	399

ანალიზი I I

ტესტირების შედეგების ანალიზის მიხედვით ირკვევა, რომ 21 მოსწავლის მიერ სასვენი ნიშანი- წერტილის ამოსაცნობი საერთო 126 -დან ამოცნობილი იქნა 120 წერტილი - 95%,
ვერ იქნა ამოცნობილი 6 წერტილი - 5%.



ანალიზი III

21 მოსწავლის მიერ სასვენი ნიშანი-ორწერტილის ამოსაცნობი საერთო 42-დან ამოცნობილი იქნა 28 წერტილი - 67%, ვერ იქნა ამოცნობილი 14 ორწერტილი - 33%.



ანალიზი III

21 მოსწავლის მიერ

- *სასვენი ნიშნის- ბრჭყალების ამოსაცნობი საერთო 21-დან ამოცნობილი იქნა 16 ბრჭყალები- 67%, ვერ იქნა ამოცნობილი 5 ბრჭყალები- 33%.*

- *სასვენი ნიშნის- ძახილის ნიშანი- ამოსაცნობი საერთო 42-დან ამოცნობილი იქნა 24 ძახილის ნიშანი- 57%, ვერ იქნა ამოცნობილი 18 ძახილის ნიშანი -43%.*

- *სასვენი ნიშნის- კითხვის ნიშანი- ამოსაცნობი საერთო 42-დან ამოცნობილი იქნა 35 კითხვის ნიშანი- 83%, ვერ იქნა ამოცნობილი 7 კითხვის ნიშანი -17%.*



ანალიზი I V

მოსწავლეთა მიერ სასვენი ნიშანი- მძიმე ამოსაცნობი საერთო 126-დან ამოცნობილი იქნა 69 მძიმე - 55%,

ვერ იქნა ამოცნობილი 57 მძიმე - 45%. რაც დიაგრამაზე ამგავარად აისახა:



5.2გამოკითხვის შედეგების ანალიზი (მშობელი)

ჩაღრმავებული ინტერვიუ—კვლევის მომდევნო ეტაპი განხორციელდა მოსწავლეთა მშობლებთან, **(დანართი #2)** რამაც საშუალება მოგვცა მიგვეღო დეტალური ინფორმაცია მოსწავლეთა მშობლებიდან მათი შვილების მზაობის შესახებ წერითი მეტყველებისას

სასვენი ნიშნების სწორად გამოყენების ცოდნის დონის შესახებ. ასევე გაგვეზიარებინა მათი პოზიცია აღნიშნული პრობლემის გადაჭრის საქმეში. ამავე დროს კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა მშობლის ვალდებულებები და მოთხოვნები მასწავლებლებსა და შვილების მიმართ.

ჩაღრმავებული ინტერვიუს საშუალებით გამოვლინდა, რომ ხშირად მათ არ ესმით სასვენი ნიშნების მნიშვნელობის შესახებ, მით უფრო, რომ უმრავლეს მათგანს არა აქვს მართლწერითი ნორმების სწორად გამოყენებისათვის სათანადო მზაობა თავიანთ შვილებთან თანამშრომლობის დროს. ისინი თვლიდნენ, რომ საკლასო სივრცეში მასწავლებლის ძალისხმევა სავსებით საკმარისია აღნიშნული ცოდნისა და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების დაუფლებისათვის.

კითხვაზე, **რამდენად ხშირად ახერხებთ პედაგოგებთან კომუნიკაციას და საკუთარ ხედვათა გაზიარებას, რათა თავადაც დაეუფლოთ სასვენი ნიშნების სწორად გამოყენების პრაქტიკას საკუთარი შვილებისათვის კომპეტენტური დახმარების გაწევის მიზნით?** - აღნიშნეს, რომ სასვენი ნიშნების სწორად გამოყენებისათვის თავიანთ შვილებთან თანამშრომლობის დროს არასოდეს არ გაუმახვილებიათ ყურადღება ამ მიმართულებით. თუმცა აღნიშნეს, რომ დროის დეფიციტი რომ არა, თავადაც შეეცდებოდნენ ამ ცოდნის გააქტიურებას, რათა უფრო კომპეტენტური დახმარება გაეწიათ თავიანთი შვილებისათვის. ამავე დროს გამოთქვეს სურვილი, რომ გარკვეული პერიოდულობით სიამოვნებით დაესწრებიან ქართული ენის გაკვეთილებზე, რომლებზედაც ყურადღება პუნქტუაციის წესების დაცვაზე იქნება გამახვილებული. ან თუნდაც ჩაერთვებიან აღნიშნულ პრობლემატიკაზე ორიენტირებულ პროექტსა თუ თავისუფალ გაკვეთილებს.

მშობლებმა გამოთქვეს განსაკუთრებული მადლიერება მასწავლებლის მიმართ, რამეთუ მის მიერ წინა პლანზე იქნა წამოწეული პუნქტუაციის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა და დაისახა მისი გადაჭრის გზები, რაც, მათი აზრით,

მნიშვნელოვანი საშუალებაა მათი შვილებისათვის მაღალი აკადემიური შედეგების მისაღწევად სწავლა-სწავლების მომდევნო ეტაპსა თუ საფეხურზე.

შეთავაზებაზე, რომ ხშირად დასწრებოდნენ გაკვეთილებს, მშობლთა ნაწილი სიხარულით შეხვდა. ისინი მზად იყვნენ, შესაძლებლობის ფარგლებში დააკვირდნენ და გაიგონ, როგორ შეიძლება ბავშვებში გამომუშავდეს სასვენი ნიშნების სწორად გამოყენების უნარ-ჩვევები წერით მეტყველებაში.

5.3 გამოკითხვის შედეგების ანალიზი (მასწავლებელი)

(დანართი #3)

კვლევის ამ ეტაპზე განხორციელდა შეხვერდრა ფოკუსჯგუფთან, რომლის შემადგენლობაში შედიოდა კლასში შემსვლელი მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლები. მათ განაცხადეს, რომ მოსწავლეები მეტ-ნაკლებად კარგად იცნობენ სასვენი ნიშნების გამოყენების წესებს, თუმცა ხშირად ეს წესები უგულვებელყოფილია პრაქტიკაში.

მასწავლებელთა მიერ აღინიშნა, რომ ისინი რამდენადმე ახერხებენ, ყურადღება გაამახვილონ სასვენი ნიშნების სწორად გამოყენების უნარ-ჩვევათა გამომუშავებას მაშინ, როდესაც სრულდება წერითი ტიპის დავალებები. ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მსგავსი მიდგომა არამხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის საგნისათვისაა მნიშვნელოვანი, არამედ ყველა საგნის სწავლებისას უნდა იქნეს მასზე ყურადღება გამახვილებული. რამეთუ სასვენი ნიშნების მართებულად დასმა და მისი წაკითხვა უზრუნველყოფს აზრის სწორად ჩამოყალიბებასა და გაგებას.

თუმცა დასძინეს, რომ მოსწავლეთა პასუხებზე ხშირად თავიანთ საგნობრივ შინაარსზე ფოკუსირებისას სათანადოდ დროს ვერ უთმობენ სასვენი ნიშნების სწორად გამოყენების უნარ-ჩვევათა გამომუშავებას ბავშვებში. კითხვაზე- **რამდენად მიზანმიმართულად და ადეკვატურად თანამშრომლობენ ქართულის მასწავლებელთან**

აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის, - პასუხი უარყოფითი იყო სუბიეტური და ობიექტური მიზეზებისა გამო.

მასწავლებელთა მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები:

- ✓ ყველა საგნის პედაგოგმა საგნის შინაარსობრივ სწავლებასთან ერთად მუდმივად უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა შორის წერით მეტყველებაში სასვენი ნიშნების სწორად გამოყნების უნარ-ჩვევათა გამომუშავება.
- ✓ მასწავლებელმა მოსწავლეებსა და მშობლებს გააცნოს და არგუმენტირებულად დაუსაბუთოს სასვენი ნიშნების სწორად გამოყნების მნიშვნელობა და აუცილებლობა აზრის სწორად გადმოცემისა და ჩამოყალიბებისათვის წერითი მ,ეტყველებისას.
- ✓ შეეცადონ პუნქტუაციური საკითხების სწავლებისას გაითვალისწინონ ყოველი მოსწავლის წინარე ცოდნა და შეძლოს მასზე საფეხურებრივად ახალი ინფორმაციის დაშენება, რათა უმტკივნეულოდ, პრაქტიკაზე ორიენტირებით ყოველმა მოსწავლემ შეძლოს მისი დაუფლება სრულყოფილად.
- ✓ გაითვალისწინოს, რომ მასწავლებელთა შორის თანამსრომლობითი კულტურის განვითარება, მოსწავლეებში თუ როგორ შეიძლება ეფექტურად იქნეს მიღწეული სასვენი ნიშნების სწორად გამოყენება, საჭიროა, რომ მაღალ დონეზე ავიდეს.
- ✓ და რაც მთავარია, მოსწავლეთა შორის წიგნიერების დონის გაზრდა უპირველესი გარანტია სასვენი ნიშნების სწორად გამოყენების დაუფლების საქმეში.

თავი VI

ინტერვენციები და მისი შეფასება

6.1. შესაძლო ინტერვენციები

კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დაიგეგმა ინტერვენციები:

- კვლევის ხელმძღვანელის მიერ მონიტორინგის წარმოება წერით უნარებზე მუშაობის გაკვეთილებსა და სხვადასხვა წერითი დავალებებზე დაკვირვების გზით;
- მოსწავლეთათვის პუნქტუაციური წესების გაცნობისა და მათი პრაქტიკაში გამოყენებისათვის გაკვეთილებისა თუ მასტერკლასების ჩატარება ამ საფეხურის ფარგლებში შესასწავლი ძირითადი სასვენი ნიშნების შესწავლა-დაუფლებისათვის;
- მშობელთა მეტი ინფორმირებულობა, მათი გაკვეთილზე ჩართვა ძირითადი სასვენი ნიშნების ეფექტურად გაგებისა და შემდგომში შვილთან ურთიერთობისას კომპეტენტური რეკომენდირების გაწევის მიზნით;
- მასწავლებელთა მიერ ძირითადი სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენება ნებისმიერ გაკვეთილსა და სწავლა-სწავლების სხვადასხვა ფორმაზე;
- ძირითადი სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენების სწავლების მიზნით მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება, მათ შორის ვერბალური და სქემის სახით.
- მესამე კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში (ვ. როდონაია) ლექსის „სასვენი ნიშნები“ (ავთანდილ არაბიძე) დასწავლა.
- მასწავლებელთა მიერ გაკვეთილზე ძირითადი სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენების ინტენსივობისა და ეფექტურობის მონიტორინგი თვითშეფასებებისა და ურთიერთსეფასებების გზით.
- მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობის გაზრდა და სხვათა გამოცდილების გაზიარება ძირითადი სასვენი ნიშნების შესწავლისას ამ საფეხურზე.

6.2. განსახორციელებელი ცვლილებები

განხილულ იქნა ინტერვენციები. კვლევის ავტორის მიერ განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- მოსწავლეებმა შეისწავლეს და შეძლეს მიღებული ცოდნით ძირითადი სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენება.

- მშობლებმა კვლევის ავტორთან ფოკუსირებული მეორადი შეხვედრისას მოიმინეს და გააცნობიერეს ძირითადი სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენების მნიშვნელობა და მათი გამოყენების ელემენტარული ნორმები.
- მშობლთა გარკვეული ჯგუფი დაესწრო გაკვეთილებს ძირითადი სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენების პრაქტიკის დაუფლებისა და საკუთარ შვილთან ურთიერთობისას მისი შესაბამისად გამოყენების მიზნით;
- მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერების მიზნით შეიკრიბნენ, მოიძიეს და შეიმუშავეს ძირითადი სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენების სხვადასხვა მეთოდი, სტრატეგია და სქემა.
- მასწავლებლებმა განახორციელეს ურთიერთდასწრება ძირითადი სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენების პრაქტიკის სრულყოფისათვისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, რაც შემდგომში გამოიყენეს საკუთარ გაკვეთილებზე.

1. **მოსწავლეებმა შეისწავლეს და შეძლეს მიღებული ცოდნით ძირითადი სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენება.**

ფოკუსირებული შეხვედრისას მე-4 კლასის მოსწავლეები გაეცვნენ დაწყებითი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის, ინდიკატორისა და საგნობრივი პროგრამის შინაარსს და მისი ანალიზით შეისწავლეს რამდენიმე ძირითადი პუნქტუაციური ნორმა. (წერტილი, მძიმე, ძახილისა და კითხვის ნიშანი, ბრჭყალები, ორწერტილი და სხვა). ასევე მათ გაიხსენეს, გაისწავლეს და იმსჯელეს მესამე კლასის ქართული ენის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში (ვ. როდონაია) მოცემული ლექსი „სასვენი ნიშნები“ (ავთანდილ არაბიძე), რომელიც დიალოგის ფორმატში საკმაოდ ლაკონურად და მარტივად აღწერს სასვენი ნიშნების დანიშნულებას. ამით კი შესაძლებელი გახდა გრამატიკული წესები მკვიდრად გამჯდარიყო მათ გონებაში და ხელი შეეწყო ამ ნორმათა ადეკვატურ გამოყენებას პრაქტიკაში. ასევე რამდენჯერმე განხორციელდა როლური თამაშები სასვენ ნიშნებზე. მოსწავლეები სასვენ ნიშნების როლებად მორგებითა და გათამაშებით სწავლობდნენ და სხვებსაც აცნობდნენ „საკუთარ წესებს“. ყველა ამ აღნიშნული ინტერვენციის ინტენსიურმა გამოყენებამ შესაძლებელი გახადა მოსწავლეთათვის სიღრმისეულად გამხდარიყო ცნობილი, თუ რა სასვენი ნიშნები გამოიყენებოდა ამა თუ იმ შინაარსის მქონე წინადადებაში. ფაქტობრივად მოსწავლეთათვის

შესაძლებელი გახდა შეძენილი ცოდნის პირობისეულ ცოდნად გადაზრდა წერითი დავალებების შესრულებისას, რაც „სასვენი ნიშნების დღის“ ორგანიზებისას გამოიკვეთა.

2-3 მშობლებმა კვლევის ავტორთან ფოკუსირებული მეორადი შეხვედრისას მოიმინეს და გააცნობიერეს ძირითადი სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენების მნიშვნელობა და მათი გამოყენების ელემენტარული ნორმები. ასევე მათი გარკვეული ნაწილი დაესწრო გაკვეთილებს ძირითადი სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენების პრაქტიკის დაუფლებისა და საკუთარ შვილთან ურთიერთობისას მისი შესაბამისად გამოყენების მიზნით;

მშობლებთან გასაუბრებისა და გაკვეთილზე მათი დასწრების მიზანი იყო ის, რომ ნათელი გამხდარიყო მათთვის ძირითადი სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენების მნიშვნელობა და მათი გამოყენების ელემენტარული ნორმები, ასევე გაკვეთილზე დასწრებითა და მისი ანალიზით შესაძლებელი გახდა უფრო მეტად ჩასწვდომოდნენ სწავლა-სწავლების იმ სირთულეებს, რომლებიც სასვენი ნიშნების პრაქტიკულად გამოყენების არსს გულისხმობს.

1. **მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერების მიზნით შეიკრიბნენ, მოიძიეს და შეიმუშავეს ძირითადი სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენების სხვადასხვა მეთოდი, სტრატეგია და სქემა.**

მასწავლებლებთან შეხვედრისა და გასაუბრების მიზანი იყო ის, რომ ურთიერთ-თანამშრომლობის გაძლიერების გზით მოეძიათ და შეემუშავებინათ ძირითადი სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენების სხვადასხვა მეთოდი, სტრატეგია თუ სქემა.

2. **მასწავლებლებმა განახორციელეს ურთიერთდასწრება ძირითადი სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენების პრაქტიკის სრულყოფისათვისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, რაც შემდგომში გამოიყენეს საკუთარ გაკვეთილებზე.**

მასწავლებელთა შეხვედრების შემდეგ შესაძლებელი გახდა ძირითადი სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენების პრაქტიკის სრულყოფა გაკვეთილზე. რისი დემონსტრირება იძლეოდა საშუალებას, განსაზღვრულიყო გაწეული საქმიანობით მიღწეული შედეგები მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესების საქმეში.

ასევე გამოვლენილიყო ის ხარვეზები, რომლებიც გაჩნდა ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის პროცესში.

6.3. ინტერვენციის შედეგები

ჩვენი შეფასების მიზანს წარმოადგენდა გაგვეგო:

- რამდენად ეფექტური იყო ფოკუსჯგუფების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები;
- დაეხმარებოდა თუ არა მოსწავლეებს ძირითადი სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენების პრაქტიკის სრულყოფისათვის შეთავაზებული მიდგომები და მეთოდები გაკვეთილზე უფრო მაღალი შედეგის მისაღწევად.

ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად ჩავატარეთ ინტერვიუები მოსწავლეებსა და მასწავლებლებთან.

ინტერვენციების დასრულების შემდეგ მასწავლებლებსა და მოოსწავლეებს ბოლოჯერ შევხვდით. მეორადი შეხვედრის მიზანი მათ მიერ ინტერვენციების შეფასება იყო. თავდაპირველად პედაგოგებს ვთხოვეთ გამოეთქვათ მოსაზრება ძირითადი სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენების პრაქტიკის სრულყოფისათვის საქმეში მაღალი აკადემიური შედეგების შესახებ.

მასწავლებლების აზრით:

მასწავლებლებმა შეფასებისას ეფექტურად მიიჩნიეს განხორციელებული ინტერვენციათა უმრავლესობა და აღნიშნეს ცვლილებების შესახებ საკუთარ პრაქტიკასა და მოსწავლეების გაკვეთილზე ეფექტურად ჩართვის მიმართულებით, რაც შესაძლებელი გახდა:

- დაწყებითი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის, ინდიკატორისა და საგნობრივი პროგრამის შინაარსის გაცნობითა და მისი ანალიზით საშუალებით;
- სასვენი ნიშნების ნორმების პრაქტიკაში დანერგვისა და ამ ნორმათა მართებულად გამოყენების უნარ-ჩვევათა გამოყენების გზით;
- მშობელთა ჩართულობის გაზრდის გზით:
- მასწავლებელთა ურთიერთანამშრომლობის გაზრდის გზით.

მოსწავლეთა აზრით:

მოსწავლეებმა შენიშნეს, რომ ბოლო პერიოდში (ინტერვენციათა განხორციელების შემდეგ) გაკვეთილზე გამოყენებული სხვადასხვა სასვენი ნიშნების გამოყენება გახდა მეტად მარტივი, რაც ხელს უწყობს ტექსტის სწორად და სწრაფად გაგებასა და დასწავლის პროცესს.

მათ დასძინეს, რომ

- კითვისა და წერისას მეტად ხდება ტექსტის გაგება-გააზრება და მართლწერის ცოდნის მაღალ დონეზე გამოვლენა.
- მასწავლებლებისაგან ნაკლებ შენისვნებს ღებულობენ წერითი სამუშაოების შესრულების დროს;
- წერის პროცესი გახდა მეტად საინტერესო და სახალისო;
- მიაღწიეს უკეთესს აკადემიურ შედეგს.

თავი VII

7.1 თვითკრიტიკა და რისკფაქტორები

კვლევის საკითხი შერჩეული იქნა კლასის ხელმძღვანელის, კვლევის ავტორის მიერ. მართალია, კვლევის უმეტეს ინტერვენციაში აქტიურად იყო ჩართული კლასში შემსვლელი მასწავლებლები, მაგრამ სასურველი იქნებოდა. სხვა, პარალელი კლასების პედაგოგების მეტი ჩართულობა, რათა ერთობლივად დასახულიყო პრობლემის გადაჭრის გზები.

მონიტორინგის მიზნით გაკვეთილზე დასწრების ფაქტი რამდენადმე შეიცავდა რისკფაქტორს. შესაძლებელია, კვლევის ავტორი, როგორც ამ კლასის დამრიგებელი, რამდენადმე მიკერძოებული ყოფილიყო პრობლემის იდენტიფიცირებისას, თუმცა ამის თავიდან ასარიდებლად შერჩეული იქნა კვლევის ისეთი მეთოდები და ტიპები, რომლებიც ზემოხსენებულ რისკებს შეამცირებდა. მით უფრო, რომ აღნიშნული კლასი ასრულებს დაწყებითი საფეხურის პირველ დონეს და ამავე საფეხურის მეორე დონეზე გადასვლისას მათ მიერ სასვენი ნიშნების გამოყენების ეფექტური ფლობა მასწავლებლის პროფესიონალიზმის ერთგვარი ინდიკატორი გახლდათ. ამ ფაქტორთა გათვალისწინებით რისკებიც გააზრებული და თავიდან იქნა აცილებული კვლევის ავტორის, ამ კლასის ძირითადი მასწავლებლის მიერ.

ცვლილებების განხორციელებისათვის არახელსაყრელი პერიოდი - პრაქტიკული კვლევის ცვლილებების ნაწილი სკოლაში მიმდინარე სასწავლო წლის გადატვირთულ პერიოდს (სასწავლო წლის დასრულებას) დაემთხვა. შესაბამისად საკითხის კვლევაში სხვა მასწავლებელთა მაღალი ჩართულობა ვერ შედგა, თუმცა კლასში შემსვლელი და ამავე საფეხურის რამდენიმე მასწავლებლი კვლევაში ენთუზიაზმითა და დიდი ინტერესით ჩაერთნენ.

ასევე, უკეთესი შედეგი ექნებოდა განხორციელებულ ინტერვენცებს, თუ განსახორციელებლად უფრო დიდი პერიოდს გამოვიყებდით.მაგალითად გასულ სასწავლო წელს.

7.2 რეკომენდაციები

პირველადი კვლევების, ინტერვენციებისა და მეორადი დაკვირვების შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები:

- **საჭიროა მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები ერთმანეთს უზიარებდნენ სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენების მნიშვნელობასა და მათი გამოყენების ელემენტარულ ნორმებს.**
- **მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს გაცნობიერებული ჰქონდეთ სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენების გზით მიღწეული წარმატების შესახებ;**
- **პედაგოგებმა გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარ პრაქტიკაში სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენების დროს წამოჭრილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.**
- **გადაიჭრას სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენებისა და რეალიზების პრობლემა.**

დასკვნა

მე-4 კლასში ჩატარებული პრაქტიკული კვლევის საფუძველზე (კვლევა მოიცავდა პრობლემის შესწავლის, ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელების, მეორადი კვლევებისა და დასკვნების, შეფასების ეტაპებს). შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

1. **მოსწავლეები ხშირად არ იცნობდნენ სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენების ნორმებს.**
2. **მასწავლებლების მიერ ხშერად არაეფექტურად იყო გამოყენებული სასვენი ნიშნების ნორმები და/ან არასათანადოდ იყო შეფასებულ-შესწორებული მოსწავლეთათვის კონსტრუქტიული უკუკავშირის გზით;**
3. **მასწავლებლების, მოსწავლისა და მშობლის არაეფექტური თანამშრომლობა.**

აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. გატარებული ინტერვენციების შეფასებისას გამოვლინდა, რომ მათი უმრავლესობა შედეგის მომტანი იყო, რამაც უზრუნველყოფო წერის პროცესში **სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენება.**

თუმცა რაკი მართლწერის ნორმათა სირთულე სწავლების მაღალ საფეხურზე თანდათანობით რთულდება, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, რომ მოსწავლეთა მიერ **სასვენი ნიშნების ეფექტური გამოყენების** მონიტორინგი განხორციელდეს სწავლა-სწავლებიის ყველა პერიოდში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://mastsavlebeli.ge/?p=16976
   ქართული ენის გაკვეთილები: პუნქტუაცია
   15 თებერვალი, 2018 თამთა დოლიძე

2. http://cicinogobadzisportpolio.blogspot.com/p/blog-page_22.html
   ციცინო გობაძის მიერ ჩატარებული კვლევა.
   2017 წლის მაისი–ივნისი

3. http://mastsavlebeli.ge/?p=19813
   როგორ შევაყვარე მოსწავლეებს სასვენი ნიშნები
   26 ნოემბერი, 2018 რუსუდან ნადარეიშვილი.

4. http://mastsavlebeli.ge/?p=19521

სასვენი ნიშნების დღე
23ოქტომბერი, 2018 მაია მენაბდე.

5. ეროვნული სასწავლო გეგმა

მუხლი 58. ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი.

ქართული ენა და ლიტერატურა დაწყებით საფეხურზე.

დანართი

დანართი #1

ფოკუსჯგუფი კლასში შემსვლელი მასწავლებლებთან შეხვედრა.

კითხვები მასწავლებლებს:

1. **როგორ იცნობენ მოსწავლეები და მშობლები** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების წესებს?
2. **როგორ ახერხებენ** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენებას წერით მეტყველებაში?
3. **რამდენად** აცნობიერებენ **მოსწავლეები** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების საჭიროებას წერით მეტყველებაში?
4. **ხერხდება თუ არა** ეფექტურად **მათ** მიერ **მოსწავლეთათვის** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების წესებისა და მისი პრაქტიკაში დანერგვის მეთოდებისა თუ სტრატეგიების შეთავაზება?
5. **უზიარებენ თუ არა პედაგოგები ერთმანეთს საკუთარ პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზებს?**
6. **ხერხდება** თუ არა **მოსწავლისა** და **მათი** **მშობლების ურთიერთთანამშრომლობისას** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების წესების მიწოდება წერით მეტყველებაში და ამ პროცესების კონტროლი?
7. **როგორ შეიძლება გადაიჭრას** სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების პრობლემა წერით მეტყველებაში?

დანართი #2

ჩაღრმავებული ინტერვიუ მშობლებთან

6. *როგორია მათი შვილების მზაობა წერით მეტყველებისას სასვენი ნიშნების სწორად გამოყენების თვალსაზრისით?*
7. *როგორია მათი შვილების ცოდნის დონე წერით მეტყველებისას სასვენი ნიშნების სწორად გამოყენების თვალსაზრისით?*
8. *როგორ ფიქრობთ, რამდენად ახერხებენ მათი შვილები წერით მეტყველებისას სასვენი ნიშნების სწორად გამოყენებას?*
9. *რამდენად ხშირად და მიზანმიმართულად ახერხებენ შვილთან თანამშრომლობისას წერით მეტყველებაში სასვენი ნიშნების სწორად გამოყენებას?*
10. *რამდენად ხშირად ახერხებენ პედაგოგებთან კომუნიკაციას და ხედვათა ურთიერთგაზიარებას, რათა თავადაც დაეუფლონ სასვენი ნიშნების სწორად გამოყენების პრაქტიკას საკუთარი შვილებისათვის კომპეტენტური დახმარების გაწევის მიზნით?*

დანართი #3

სასვენი ნიშნების გამოყენების სადიაგნოსტიკო ტესტირება მოსწავლეთათვის .

დააკვირდით წინადადებებს და დასვი სათანადო სასვენი ნიშნები:

1. ყვავს წყალი მოსწყურდა და მინდორში დაყიალობდა წყლის საშოვნელად

2. ირგვლივ დაშრა ყველაფერი წყარო ჩანჩქერები ნაკადულები

3. სკოლაში სტუმრები დაგვხვდნენ ისინი საბავშვო ჟურნალ დილას რედაქციიდან იყვნენ

4. ანა კალანდაძემ თავის ლექსში გამოიყენა გრიგოლ ორბელიანის ლექსის სტრიქონი

5. ნეტავი რადმე მაქცია ბულბულად გადამაქცია

6. რატომ არის წიგნი ადამიანის საუკეთესო მეგობარი

7. აყვავებული მამული გაგვიხდა დასატირები

8. როგორ მოგლიჯა ქარმა ფესვებიანად ბებერი ტირიფი

9. ამ ახალ ამბავს სიამოვნებით უგდებდა ყურს ყველა დედა მამა ბებია და ბაბუა.

10. დედაენის სიწმინდის დაცვა ყველა ჩვენგანის მოვალეობაა.

შესრულებული დავალება.

სასვენი ნიშნებით დასმული წინადადებები:

1. ყვავს წყალი მოსწყურდა და მინდორში დაყიალობდა წყლის საშოვნელად.

2. ირგვლივ დაშრა ყველაფერი: წყარო, ჩანჩქერები, ნაკადულები.

3. სკოლაში სტუმრები დაგვხვდნენ, ისინი საბავშვო ჟურნალ „დილას“ რედაქციიდან იყვნენ.

4.ანა კალანდაძემ თავის ლექსში გამოიყენა გრიგოლ ორბელიანის ლექსის სტრიქონი.

5. ნეტავი რადმე მაქცია, ბულბულად გადამაქცია!

6. რატომ არის წიგნი ადამიანის საუკეთესო მეგობარი?

7. აყვავებული მამული გაგვიხდა დასატირები.

8. როგორ მოგლიჯა ქარმა ფესვებიანად ბებერი ტირიფი?

9. ამ ახალ ამბავს სიამოვნებით უგდებდა ყურს ყველა: დედა, მამა, ბებია და ბაბუა.

10. დედაენის სიწმინდის დაცვა ყველა ჩვენგანის მოვალეობაა!

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ.

2019 წლის 31 მაისს გაიმართა უფროსი სტატუსის მქონე მასწავლებლის, ნათია ლილუაშვილის მიერ წარმოებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პრეზენტაცია. მასზე ესწრებოდა საკითხით დაინტერესებული პედაგოგები.

კვლევის თემას წარმოადგენდა: „სასვენი ნიშნების გამოყენების პრობლემა IV კლასში“

კვლევის მიზანი გახლდათ:

სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების პრობლემის მიზეზების დადგენა, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და მიღებული შედეგების შეფასება.

კვლევის ამოცანის განსაზღვრისას პასუხი უნდა გასცემოდა შემდეგ კითხვებს:

- რამდენად იცნობენ მოსწავლეები და მშობლები სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების წესებს.
- რამდენად ახერხებენ სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენებას წერით მეტყველებაში.
- რამდენად აცნობიერებენ მოსწავლეები სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების საჭიროებას წერით მეტყველებაში.
- რამდენად ეფექტურადაა მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების წესები და მისი პრაქტიკაში დანერგვის მეთოდები და სტრატეგიები შეთავაზებული.

- უზიარებენ თუ არა პედაგოგები ერთმანეთს საკუთარ პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ.
- რამდენად ხერხდება მოსწავლისა და მისი მშობლის ურთიერთთანამშრომლობისას სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების წესების მიწოდება წერით მეტყველებაში.
- როგორ შეიძლება გადაიჭრას სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების პრობლემა წერით მეტყველებაში.

კოლეგებისათვის პრაქტიკის კვლევის შედეგების გაზიარების გზები

დეკემბერ_მაისის თვეების განმავლობაში განხორციელებული კვლევის დასრულების შემდგომ შედგა მასწავლებლებთან შეხვედრა. მასზე მოწვეული იყო კვლევის სტრუქტურითა და შინაარსობრივი თვალსაზრისით დაინტერესებული პედაგოგები.

კვლევის ავტორის მიერ კვლევის ანგარიში აუდიტორიას წარედგინა პრეზენტაციის სახით. პრეზენტაციაზე გამოყენებული იყო კომპიუტერული მოწყობილობები: კომპიუტერი, პროექტორი და მეხსიერების ბარათი.

პრეზენტატორმა დაწვრილებით ისაუბრა:

- კვლევის საკითხის შერჩევის,
- საკვლევი პრობლემის მიზნისა და ამოცანების განსაზღვრის,
- კვლევის პრინციპების, მეთოდებისა და მიდგომების,
- კვლევის ტიპების,
- კვლევის თეორიული ცოდნის მნიშვნელობის,
- კვლევის პროცესში მიღებული გამოცდილების შესახებ.

ხაზგასმით აღინიშნა პრაქტიკის კვლევის ანგარიშის დაწერის სტრუქტურის შესახებ. კერძოდ, ყურადღება გამახვილდა, რომ პრაქტიკის კვლევის ანგარიშის შექმნისას

- პირველ გვერდზე იწერება პრაქტიკის კვლევის სათაური,
- შემდეგ_სარჩევი გვერდების მითითებით თანმიმდევრულად აღნუსხული კვლევის მიმდინარეობა,
- მომდევნო ეტაპზე პრაქტიკის კვლევის ბიბლიოგრაფია,
- ბოლოს დანართის სახით შესაბამისი ტექსტები, ცხრილები და დიაგრამები.

პრეზენტაციისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ინტერვენციათა სწორად დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მნიშვნელობაზე. იმდენად,

რამდენადაც აუცილებელია სწორედ პრაქტიკის კვლევის ფარგლებში გახდეს შესაძლებელი პრობლემათა გადაჭრა.

მსმენელთა ჩართულობა იყო საინტერესო როგორც პრეზენტაციის მსვლელობისას , ასევე მისი დასრულების შემდეგ.

პრეზენტაციის დასრულებისას შეხვედრის ყველა მონაწილის მხრიდან გამოითქვა პოზიტიური შეფასება შეხვედრის ამგვარი ფორმით ორგანიზების, კეთილგანწყობილი ურთიერთთანამშრომლობისა და საკუთარი გამოცდილების გაზიარების გამო. შეხვედრამ მასწავლებლებს აღუძრათ მოტივაცია. დააძინეს, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკის კვლევა რთული და საპასუხისმგებლო აქტივობაა, მათაც დაგეგმონ და განახორციელონ საკუთარი პრაქტიკის კვლევა და გაუზიარონ კოლეგებს.

მასწავლებელთა მიერ მოწოდებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიშის პრეზენტაციის საფუძველზე მოწოდებული უკუკავშირი.

ა) კვლევის პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ჯგუფში გაჩნდა გარკვეული კითხები კვლევის ავტორის მიმართ:

1. რამ მოგცათ ბიძგი, განგესაზღვრათ საკვლევი თემა?

2.როგორ და რა საშუალებებს მიმართეთ კვლევის პროცესში საჭირო ტერმინოლოგიისა და ინტერვენციები მოძიება _გამოყენებისათვის?

3. რა ვადებში შეიძლება დასრულდეს კვლევა და თქვენ რა ვადით ისარგებლეთ?
4. სად მოიძიეთ პრაქტიკის კვლევის საკითხის შესაბამისი ლიტარატურა და რა ფორმით ჩადეთ იგი პრაქტიკის კვლევის ანგარიშში?

კვლევის ავტორის მიერ გაცემულ იქნა ადეკვატური პასუხები, იმის საუძველზე, რომ მას კვლევის პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და განხორციელებისათვის თავად მოუხდა დასმულ საკითხებთან შეხება და მისი გადაჭრის გზების ძიება კვლევის განხორციელების დროს.

პასუხები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

1. მასწავლებელმა საკვლევი თემატიკა ჩამოყალიბებისას შეიძლება ბიძგი მისცეს:

- თვითშეფასების შედეგად გამოვლენილმა საჭიროებებმა;
- სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ და არსებულმა გამოცდილებამ;
- უკუკავშირისა და შეფასების შედეგებმა;
- ცნობისმოყვარეობამ და „თეორიულმა ინტერესებმა“;
- სკოლის განვითარების პროგრამებში, პროექტებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში მონაწილეობამ.

არსებული კვლევის შემთხვევაში, საკვლევი თემა განისაზღვრა სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და არსებული გამოცდილების, ასევე განვითარების გეგმაში ჩადებული მასწავლებლისათვის მისაღწევ ინდიკატორებზე დაყრდნობით.

2. კვლევის პროცესში საჭირო ტერმინოლოგიის შესწავლა-გააზრება და დაგეგმილი ინტერვენციების ჩამოყალიბება კვლევის ავტორმა განახორციელა შესაბამის ლიტერატურის გაცნობით.
3. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მოიცავს მონაცემთა შეგროვებას, ანალიზს, ინტერვენციების დაგეგმვა_განხორციელებას, მეორად დაკვირვებასა და კვლევის შედეგების შეფასებას. ამდენად, იგი ხორციელდება არა ნაკლებ ერთი სემესტრისა. კონკრეტულ შემთხვევაში კვლევა განხორციელდა ერთი სემესტრის, დეკემბერ_მაისის განმავლობაში.
4. კვლევის პროცესში საჭირო ტერმინოლოგიის მოძიება _გამოყენებისათვის კვლევის ავტორი გაეცნო ინტერნეტ სივრცეში არსებულ ლიტერატურას. ასევე ეროვნულ სასწავლო გეგმას და სხვა საგანმანათლებლო სახის ლიტარატურას.

უკუკავშირი 1.

პრეზენტაციის მიმდინარეობისას მასწავლებლის მიერ გამოითქვა მოსაზრება, რამდენად სანდო და ობიექტური იქნებოდა მე-4 კლასის მოსწავლეთათვის ჩატარებული ანკეტური გამოკითხვა. მან საჭიროდ მიიჩნია დაზუსტებულიყო ამ გამოკითხვის ტიპის, რათა მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრები ყოფილიყო ობიექტური.

მიღებული უკუკავშირის ანალიზი:

კვლევის ავტორის მიერ დაზუსტდა და აღინიშნა, რომ ანკეტირება განხორციელდა ანონიმურობის დაცვით, ეს კი შედარებით უზრუნველყოფდა

კლასში არსებული კლიმატის ობიექტურ შეფასებას. რის მაჩვენებელსაც ადასტურებს კვლევის ანგარიშში დანართის სახით წარმოდგენილი დიაგრამები.

უკუკავშირი 2.

კოლეგის მიერ მოწოდებულ იქნა რეკომენდაცია, რომ კვლევის მსვლელობისას მკვლევარ მასწავლებელს წინასწარ კონკრეტულად ჩამოეყალიბებინა პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები, რითაც უფრო გააზრებული და ეფექტური იქნებოდა კვლევის ტიპები და მეთოდოლოგია.

მიღებული უკუკავშირის ანალიზი:

მიღებული რეკომენდაციის საფიძველზე კვლევის ავტორის მიერ გარკვეული კორექტირება იქნა შეტანილი. კერძოდ, დაკონკრეტდა ვარაუდები, რა შეიძლებოდა ყოფილიყო პრობლემის გამომწვევი მიზეზები.

უკუკავშირი 3.

კოლეგამ ივარაუდა, რომ კვლევის შედეგების ობიექტური სურათის მიღებისათვის ფოკუსირებული დაკვირვების დროს გაკვეთილზე დასწრების პროცესი შესაძლებელია რამდენადმე არ ყოფილიყო რეალობის ადეკვატური, მაშინ, როცა მასწავლებელს ეცოდინებოდა შესაძლო დასწრების შესახებ.

მიღებული უკუკავშირის ანალიზი:

კვლევის ავტორმა აღნიშნა გაკვეთილზე დასწრების დროითი ფაქტორის ორგანიზების შესახებ. მან ისაუბრა , რომ, მართალია გაკვეთილზე დასწრება დაიგეგმა მასწავლებელთან შეთანხმებით, მაგრამ ეს იყო არა წინასწარ განსაზღვრული კონკრეტული გაკვეთილის, არამედ ერთი კვირის განმავლობაში მხოლოდ დამკვირვებლის მიერ შერჩეული საგაკვეთილო დრო. ამით თავიდან იქნა აცილებული ერთჯერადი ეფექტურობა.